



შპს ჩერი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მსს ფასს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

განმარტებები:

ზოგადი ინფორმაცია

მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფულადი სახსრები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შემოსავალი რეალიზაციიდან

რეალიზებული პროდუქციის თვითრიცხვება

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

მოგება/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან

რეალური ღირებულებები და რისკების მართვა



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ჩერი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - GEL

ლარი	განმარტებები	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	6,824,559	7,520,615	6,804,395
არამატერიალური აქტივები		98,765	90,442	107,001
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		6,923,325	7,611,057	6,911,396
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		765,506	907,372	1,003,636
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2	1,082,819	1,242,285	964,868
გადახდილი ავანსები		16,769	17,257	25,256
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	106,635	106,163	80,432
გაცემული სესხი შვილობილ კომპანიაზე		92,715		
მთლიანი მიმდინარე აქტივები		2,064,443	2,273,077	2,074,191
მთლიანი აქტივები		8,987,768	9,884,134	8,985,587
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		3,850,000	3,850,000	3,889,471
შენიშნა - ნაგებობის და მიწის გადაფასების რეზერვი		5,461,638	5,840,316	5,101,371
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-6,602,164	6,134,962	5,701,994
მთლიანი კაპიტალი		2,709,474	3,555,353	3,288,848
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები		147,104	41,966	63,603
გრძელვადიანი საგადასახადო ვალდებულება			817,162	1,099,875
გრძელვადიანი დავალიანებები და სესხები		4,099,635	3,518,487	3,089,205
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		4,246,739	4,377,616	4,252,683
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი დავალიანებები და სესხები		7,000	180,000	20,133
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4	1,886,786	1,641,486	1,416,484
საგადასახადო ვალდებულებები (წმინდა)		38,215	74,678	7,440
მიღებული ავანსები			55,000	
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		99,554		
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		2,031,555	1,951,165	1,444,057
მთლიანი ვალდებულებები		6,278,293	6,328,780	5,696,739
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		8,987,768	9,884,134	8,985,587



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს ჩერი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -GEL

ლარი	განმარტებები	2021	2020	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	8,009,512	7,528,089	7,012,358
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(5,439,201)	(5,041,871)	(4,943,865)
საერთო მოგება		2,570,311	2,486,218	2,068,493
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(1,868,224)	(1,136,138)	(1,191,548)
კვლევის ხარჯები		(22,613)		
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(738,428)	(607,277)	(593,867)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(58,954)	742,803	283,079
ცვეთა		(263,487)		
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(421,534)	(266,536)	(462,666)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		349,892	(638,813)	(256,036)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		14,885	(110,453)	(249,552)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება			-	65,828
საგრანტო შემოსავალი			-	24,823
მოგება დაბეგვრამდე		(379,198)	(273,000)	(594,524)
მოგების გადასახადის ხარჯი			(21,602)	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(379,198)	(294,601)	(594,524)
სხვა სრული მოგება/(ზარალი)		(378,677)	738,945	5,101,371
სულ სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(757,876)	444,344	4,506,846



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს ჩერი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - GEL

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,889,471	(600,623)	3,288,848
წლის მოგება/ზარალი	-	(294,601)	-
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	(294,601)	-
			294,601
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა/შემცირება	39,471	-	39,471
დივიდენდები	-	(122,411)	-
			122,411
ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში (კორექტირება)		(15,957)	-
			15,957
გადაფასების რეზერვი	-	738,945	738,945
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,850,000	(294,647)	3,555,353
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,850,000	(294,647)	3,555,353
წლის მოგება/ზარალი	-	(379,198)	(379,198)
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	(379,198)	(379,198)
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა/შემცირება		-	-
დივიდენდები	-	(88,003)	(88,003)
ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში (კორექტირება)			
გადაფასების რეზერვი	-	(378,677)	(378,677)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,850,000	(1,140,526)	2,709,474



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს ჩერი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - GEL

ლარი	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა	9,028,193	7,826,543
ფულადი ნაკადების გასვლა	- 9,396,783	- 7,531,025
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	- 368,590	295,518
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა	63,403	-
ფულადი ნაკადების გასვლა	- 40,358	- 106,155
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	23,045	- 106,155
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა	4,815,566	3,460,899
ფულადი ნაკადების გასვლა	- 4,469,550	- 3,624,530
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	346,016	- 163,631
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	471	25,732
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	106,164	80,432
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	106,635	106,164



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩერი წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2012 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ცალკეული პროდუქტების გაყიდვა სპეციალიზებული აგენტების მიერ, ყავის გადამუშავება. კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2021	2020
	%	%
01024053119, ირაკლი ლომთათიძე	95	100
01024019498, ტარიელ ბოჭორიშვილი	5	0
სულ	100	100

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

2.2 მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში. კომპანია თავისი არსებობის მანძილზე ეტაპობრივად აწვითარებს და აუმჯობესებს წარმოებულ პროდუქციას, ასევე ზრდის ასორტიმენტს და მიზნად ისახავს უფრო მრავალფეროვანი პროდუქცია შესთავაზოს თავის მომხმარებლებს.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

2.4 ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ პროდუქტის გაყიდვით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.5 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. კომპანიის მიერ სესხი აღებულია ბანკისგან უცხოურ ვალუტაში, დოლარში.

2.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

საგადასახადო ვალდებულებებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხება დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, შეფასებულ ძირითად საშუალებებს (შენობა-ნაგებობა მანქანა დანადგარები) ცვეთა ერიცხება უცხოურ ვალუტაში ყოველი წლის ბოლოს და წარჩენი ღირებულება აისახება ანგარიშგებებში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ცვეთის თანხა გავლენას ახდენს გადაფასების რეზერვზე და არ აისახება მოგება-ზარალში, ფასის-ის სტანდარტების შესაბამისად. კომპანიის ხედვით, აღნიშნული მიდგომა უფრო ზუსტად ასახავს ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

დანარჩენი ძირითადი საშუალებები ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ასახულია ბალანსზე ეროვნულ ვალუტაში და ცვეთაც ერიცხება სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
შენობა-ნაგებობები	50 წელი
არამატერიალური აქტივები	10 წელი
მანქანა-დანადგარები	30 წელი

გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წელს ღირებულების ბრძანების საფუძველზე, ძირითადი საშუალებების სავარაუდო ღირებულებების მიხედვით მოხდა ძირითადი საშუალებების აფასება, კერძოდ აფასდა მიწა, შენობა-ნაგებობები და დანადგარები. აღნიშნული ძირითადი საშუალებების ღირებულება განისაზღვრა აშშ დოლარში. შესაბამისად კომპანიის ბალანსზე მოცემული ძირითადი საშუალებები აისახა აფასებული ღირებულებით და შეიქნა გადაფასების რეზერვი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ძირითადი საშუალებები შეფასებულია დოლარში, რათა ძირითადების



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

ღირებულება შესაბამისებოდა საბაზრო ღირებულებას, ყოველწლიურად ხდება აღნიშნული ძირითადი საშუალებების გადაფასება 31 დეკემბრის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მიწა, პენობა-ნაგებობების და მანქანა დანადგარს ღირებულება წარმოდგენილია აფასებულ მდგომარეობაში 31.12.2021 კურსის შესაბამისად და ნამეტი თანხისთვის შექმნილია გადაფასების რეზერვი.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ათ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად. ასევე, მოიცავს ყავის დიზაინისა და კომპანიის ლოგოს პატენტს.

2.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება უდიდესი თანხით აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება. ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რომლის დროსაც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დაკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. კომპანიის



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება ნედლეულისა და მასალებისგან, რომელიც საჭიროა ყავის და მცირე ოდენობის ჩაის საწარმოებლად. ასევე, მზა პროდუქციისგან, რომელიც წარმოების შედეგად მოვიდა მზა მდგომარეობაში და სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგისგან.

2.11 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2.12 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

2.13 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 3.5040 ლარს, ერთი აზერბაიჯანული მანათისთვის - 1,8222 ლარს და ერთი რუსული რუბლისთვის - 0.041479 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3,2766 ლარი, ერთი ევრო 4.0233, ერთი მანათი 1,9288).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.



ფინანსური ანგარიშგება
მას ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

1 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

დასახელება	2021 ლარი
მიწა	432,068
შენობა ნაგებობა	2,592,405
მანქანა დანადგარები	3,528,551
სხვა ძირითადი საშუალებები	271,536
სულ ძირითადი საშუალებები	6,824,559

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. შპს ჩერის შემთხვევაში, ეს არის ბუღალტრული პროგრამა, სასაქონლო ნიშანი, ლოგო თუ სხვადასხვა ყავის დიზაინი. წლების მიხედვით კი ასე გამოიყურება:

დასახელება	2021 ლარი	2020 ლარი
არამატერიალური აქტივები	98 765	90 442
სულ არამატერიალური აქტივები	98 765	90 442



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2020 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 785 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა.

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	1,082,819	1 242 285
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		
მთლიანი მოთხოვნები	1,082,819	1 242 285

3 ფულადი ნაკადები

	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში	157	32
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	106 478	106 131
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში		
სულ ფულადი ნაკადები	106 635	106 163

4 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	1 886 786	1 641 486
სულ	1 886 786	1 641 486

5 შემოსავალი რეალიზაციიდან

დასახელება	2021 ლარი	2020 ლარი
შემოსავალი პროდუქტის რეალიზაციიდან	8 009 512	7 528 089
სულ შემოსავალი	8 009 512	7 528 089



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

6 რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

დასახელება	2021 ლარი
ნედლეული და მასალები	5 204 268
დაქირავებული ანაზღაურება	255 081
კომუნალურები	30 611
დაბრუნებული საქონლის თ/დ	(50 759)
სულ თვითღირებულება	5 439 201

7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

დასახელება	2021 ლარი
ხელფასი	300 556
საწვავი	81 545
კომუნალური ხარჯები	58 188
დაცვის ხარჯები	1 525
კომუნიკაციის ხარჯები	14 977
საოფისე ინვენტარი	16 281
საბანკო მომსახურება	24 299
ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯი	13 819
მივლინების ხარჯები	6 642
ავტომანქანის რემონტის ხარჯები	55 764
შენობისა და დანადგარების რემონტის ხარჯები	22 997
საკონსულტაციო ხარჯები	7 639
დაზღვევა	5 612
სოციალური დანარიცხი	15 414
სხვა საერთო ხარჯი	74 754
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	738 428

რეალური ღირებულებები და რისკების მართვა

რეალური ღირებულება არ არის ისეთი შეფასება, რომელიც საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება, არამედ საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასებაა. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. სხვა აქტივების ან ვალდებულებებისთვის შეიძლება არ არსებობდეს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. თუმცა, ორივე შემთხვევაში, რეალური ღირებულების შეფასების მიზანი ერთი და იგივეა:



ფინანსური ანგარიშგება
შპს ჩერი
2021 წლის 31 დეკემბერი

განისაზღვროს ფასი, რომლითაც განხორციელდებოდა აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს შორის, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილის პოზიციიდან, რომელიც არის აქტივის მფლობელი, ან, რომელსაც აქვს ვალდებულება). ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი მისი საბალანსო ღირებულებისგან.

რისკების მართვა

ზოგადად, რისკის მართვის სისტემას რაც შეეხება კომპანიის ხელმძღვანელებს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვისა და მონიტორინგზე. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია რისკის გავლენის განსაზღვრისთვის და ანალიზისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებლები ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშვება ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ამ მხრივ შპს ჩერის არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი, და ხელმძღვანელებიც არ ელის ამ რისკთან დაკავშირებულ ფაქტორების გამოვლენას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობა არის ფირმის შესაძლებლობა გადაიხადოს თავისი დავალიანება ზარალის გარეშე. ლიკვიდურობის რისკი გამომდინარეობს იმ ინვესტიციის რეალიზების არარსებობიდან, რომლის ყიდვა ან გაყიდვა შეუძლებელია საკმარისად სწრაფად, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს ზარალი. ეს, არის რისკი იმისა რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მეშვეობით. ამ კუთხით კომპანიის მართვის გეგმა ის არის რომ ყოველთვის კეთდებოდეს მონიტორინგი, მიმდინარე ვალდებულებებისა და აქტივების შესახებ და მისი ანალიზი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ბაზარზე ფასების ცვლილებას. საბაზრო რისკი არის ინვესტორს ზარალის ანაზღაურება იმ ფაქტორების გამო, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრების მთლიან საქმიანობაზე, რომელშიც ის მონაწილეობს. საბაზრო რისკი, რომელსაც ასევე „სისტემურ რისკს“ უწოდებენ, ვერ აღმოიფხვრა დივერსიფიკაციის გზით, თუმცა მისი დაცვა შესაძლებელია სხვა გზით.

საბოლოო ჯამში, კომპანია ცდილობს გაუკეთოს ანალიზი საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს, გამოიკვლიოს ისინი, შეადაროს წინა მონაცემებს, გაუწიოს მონიტორინგი და ამაზე დაყრდნობით თავიდან აიცილოს რისკების წარმოშობა.

